არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი #1

ქ. თბილისი 10 ივნისი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ტატო ურჯუმელაშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე;
ბ) დავით მარღანია - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
გ) კონსტანტინე გუგეშაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციის დამუშავების, ანალიზისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი;
დ) სოფიკო ბერიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მ.შ.
ე) ანა გაგნიძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვების კოორდინატორი;

დღისწესრიგი:

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსოგანცხადების განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა კონსტანტინე გუგეშაშვილმა საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი და თანდართული დოკუმენტები (საკადასტრო აზომვითი ნახაზი და არსებული შენობის სურათები).

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რის შემდეგაც აღნიშნეს, რომ ყოველივე შეესაბამება ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

დამტკიცდეს არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება და თანდართული დოკუმენტები წინამდებარე ოქმზე დართული ფორმით და რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარე	ტატო ურჯუმელაშვილი
კომისიის წევრი:	დავით მარღანია
კომისიის წევრი:	კონსტანტინე გუგეშაშვილი
კომისიის წევრი:	სოფიკო ბერიშვილი
კომისიის აპარატის წევრი	ანა გაგნიძე

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი #2

ქ. თბილისი 29 ივნისი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ტატო ურჯუმელაშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე;
ბ) დავით მარღანია - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
გ) კონსტანტინე გუგეშაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციის დამუშავების, ანალიზისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი;
დ) სოფიკო ბერიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მ.შ.
ე) ანა გაგნიძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვების კოორდინატორი;

დღის წესრიგი:

სსიპ –სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 10 ივნისსგამოცხადებული #93 კონკურსის შედეგების განხილვა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა კონსტანტინე გუგეშაშვილმა მოახსენა საკონკურსო კომისიას, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2011 წლის 21 ივნისს და მთავრდებოდა 2011 წლის 28 ივნისს. 2011 წლის 28 ივნისისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „მდგრადი 2008“ (წინადადება წარმოადგინა 2011 წლის 28 ივნისს), შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“ (წინადადება წარმოადგინა 2011 წლის 28 ივნისს).

კომისიამ განიხილა შპს „მდგრადი 2008“–ის და შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“ –ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, რის შემდგომაც საკონკურსო კომისიამ განახორციელა აღნიშნული კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება (საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებები ოქმს თან ერთვის).

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ ყველაზე მაღალი ჯამური ქულა 38,2 მიენიჭა შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგს“, შესაბამისად აღნიშნული კონკურსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად.

ამასთან, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებით მოეხდინა შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“–ს საკონკურსო წინადადების დაზუსტება იმ თვალსაზრისით, რომ შემოთავაზებული არქიტექტურული პროექტის, ესკიზის, შესაბამისად შედგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ იქნება 600 000 (ექვსასიათასი) ლარზე მეტი. ასევე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

კომისიამ დაადგინა:

1. არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“.

2. შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგს“ საკონკურსო წინადადების დაზუსტების მიზნით ეცნობოს წერილობით და განესაზღვროს ვადა 2011 წლის 1 ივლისის 18:00 საათამდე.

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“–სათვის, არაუგვიანეს 2011 წლის 29 ივნისისა.

კომისიის თავმჯდომარე	ტატო ურჯუმელაშვილი
კომისიის წევრი:	დავით მარღანია
კომისიის წევრი:	კონსტანტინე გუგეშაშვილი
კომისიის წევრი:	სოფიკო ბერიშვილი
კომისიის აპარატის წევრი	ანა გაგნიძე

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე შეფასება

	შეფასების კოეფიციენტი	შპს „მდგრადი 2008“		შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0.7	2.	1.4.	10.	7.
საკონკურსო წინადადების ფასი	0.3	10.	3.	9.	2.7.
საერთო ჯამი			4.4.		9.7.

ტატო ურჯუმელაშვილი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

29 ივნისი, 2011 წ.

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

	შეფასების კოეფიციენტი	შპს „მდგრადი 2008“		შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0.7	3	2.1	10	7
საკონკურსო წინადადების ფასი	0.3	10	3	8	2.4
საერთო ჯამი			5.1		9.4

დავით მარღანია _____

საკონკურსო კომისიის წევრი 29 ივნისი, 2011 წ.

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

	შეფასების კოეფიციენტი	შპს „მდგრადი 2008“		შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0.7	6	4,2	10	7
საკონკურსო წინადადების ფასი	0.3	8	2,7	8	2,4
საერთო ჯამი		6,9		9,4	

სოფიკო ბერიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი

29.06.2011

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

	შეფასების კოეფიციენტი	შპს „მდგრადი 2008“		შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“	
		ქულა	ჯამი	ქულა	ჯამი
არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0.7	5	3,5	10	7
საკონკურსო წინადადების ფასი	0.3	10	3	9	2,7
საერთო ჯამი		6,5		9,7	

კონსტანტინე გუგეშაშვილი _____
საკონკურსო კომისიის წევრი

29.06.2011 წ.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 29 ივნისი 2011 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2011 წლის 10 ივნისს N93 კონკურსის საშუალებით არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ტატო ურჯუმელაშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	დავით მარღანია
საკონკურსო კომისიის წევრი	კონსტანტინე გუგეშაშვილი
საკონკურსო კომისიის წევრი	სოფიკო ბერიშვილი
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი	ანა გაგნიძე

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი 5 ივლისი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ტატო ურჯუმელაშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე;
ბ) დავით მარღანია - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
გ) კონსტანტინე გუგეშაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციის დამუშავების, ანალიზისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი;
დ) სოფიკო ბერიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მ.შ.
ე) ანა გაგნიძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვების კოორდინატორი;

დღის წესრიგი:

სსიპ –სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 10 ივნისს გამოცხადებული #93 კონკურსთან დაკავშირებით შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი"–ს მიერ წარმოდგენილი წერილის განხილვა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი"–ს მიერ წარმოდგენილი წერილი (წერილი ოქმს თან ერთვის), რომლითაც დაადასტურა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შესაბამისობა საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან.

კომისიამ დაადგინა:

1. არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე ხელშეკრულება დაიდოს შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგთან".

2. შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგს" ეცნობოს წერილობით და განესაზღვროს 10 სამუშაო დღე ხელშეკრულების დასადებად.

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი"–სათვის, არაუგვიანეს 2011 წლის 5 ივლისისა, ასევე აცნობოს კონკურსის შედეგები შპს „მდგრადი 2008"–ს.

კომისიის თავმჯდომარე	ტატო ურჯუმელაშვილი
კომისიის წევრი:	დავით მარღანია
კომისიის წევრი:	კონსტანტინე გუგეშაშვილი
კომისიის წევრი:	სოფიკო ბერიშვილი
კომისიის აპარატის წევრი	ანა გაგნიძე

Umbrella
Management & Consulting
www.umc.ge

01.07.11

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

თქვენი №2/1-2023 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ, ჩვენმა საპროექტო ჯგუფმა მოამზადა არქიტექტურული ესკიზური პროექტი რომელიც ითვალისწინებს საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებად 600,000 ლარს. წინასწარმა მოკვლევამ, რომელიც ეფუძნება მასალებსა და შესასრულებელ სამუშაოებზე არსებულ საბაზრო ფასებს, ცხადყო რომ საფასადე და სარემონტო მასალებზე საშუალო ხარისხობრივი სეგმენტის მასალების გამოყენებით შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელება.

ამასთანავე გაცნობებთ რომ, სრული სატენდერო პაკეტის შესადგენად საჭიროა მოხდეს ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერა მუშა ნახაზებზე დაყრდნობით და ამის შემდგომ მათი მოცულობების და შრომითი დანახარჯების გაწერა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახით საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების მიხედვით.

იმისათვის რომ მომზადდეს საბოლოო დოკუმენტი საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, მათ შორის დეტალურად შეთანხმდეს დამკვეთთან პროექტში გამოყენებული მასალები.

პატივისცემით,

დირექტორი

რომან ზანთარაია

1-2030
01 ივლისი

14b A. Kazbegi Avenue, 3rd Floor, Tbilisi, 0160 Georgia Tel/Fax: 995 32 2 60 91 91; 995 32 2 60 92 92 E-mail: info@umc.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

N 2/1-2023 „29" ივლისი 2011 წ.

შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი"–ს
დირექტორს ბატონ რომან ზანთარაიას

ბატონო რომან,

თქვენს მიერ წარმოდგენილი იქნა საკონკურსო წინადადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსში. აღნიშნული კონკურსის მოთხოვნების შესაბამისად, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ისეთი არქიტექტურული პროექტი, ესკიზი, რომლის შესაბამისად შედგენილ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ იქნება 600 000 (ექვსასი ათასი) ლარზე მეტი. იქვე მითითებულია, რომ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილია თუ არა ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ 2011 წლის 1 ივლისის 18:00 საათამდე.

თავმჯდომარე ტატო ურჯუმელაშვილი

60 თბილისი, პეკინის ქ. № 28 web: www.procurement.gov.ge 0160 Tbilisi , Pekini St. № 28
ელ. / ფაქსი: (995 32) 38-21-84 email: info@procurement.gov.ge Tel. / Fax: (995 32) 38-21-84

ხელშეკრულება № 52
კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 19 ივლისი 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელის დავით მარღანიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის რომან ზანთარაიას სახით, №93 კონკურსის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რიჩარდ ჰოლდბრუკის (ყოფილი ბაღდათის) ქ. №8–ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (CPV - 71200000) (შემდგომში – მომსახურება).

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **18 000 (თვრამეტი ათასი)** ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში. საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად განხორციელების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება–ჩაბარების აქტს ხელს აწერენ მხარეების შესაბამისად უფლებამოსილი პირები. სააგენტოს შესაბამისად უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი – დიმიტრი ნუცუბიძე.

4.2. მომსახურება ჩაითვლება განხორციელებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს №93 კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადების ტექნიკური დავალების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს ცვლილებები შეიტანოს ესკიზში. ამასთან, მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ოთახების განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

5.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, პეკინის ქ. N28.

5.3. მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2011 წლის 7 აგვისტო.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია ასევე წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია. ამასთან, მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

6.6. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია ხელშეკრულების 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 19 ივლისიდან და მოქმედებს 2011 წლის 8 სექტემბრამდე.

შემსყიდველი:
სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მის: ქ. თბილისი, პეკინის 28
საიდენტიფიკაციო კოდი 204428510
ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა # GE52BR0000010591718543

სააგენტოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
დავით მარღანია

მიმწოდებელი:
შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგი“
იურ მის: ქ.თბილისი, დელისი III ჩიხი, N7;
ფაქტ მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N14ბ
საიდენტიფიკაციო კოდი 404884826
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: # GE39TB7680436080100001

შპს „ამბრელა მენეჯმენტ ენდ ქონსალტინგის“
დირექტორი რომან ზანთარაია